# ქართული აზრი

„ყოველგვარი სიძულვილის გარეშე, ყველასადმი სიყვარულით, სიმართლის ღრმა რწმენით, რამდენადაც ამის დანახვის შესაძლებლობას ღმერთი გვაძლევს, ვეცდებით მივიყვანოთ ჩვენი საქმე ბოლომდე“.

**აბრამ ლინკოლნი. 1865 წ.**

№ 2 GEORGIAN OPINION NEW YORK, JANUARY, 1956

**იანვარი 1956, ნიუ იორკი.**

ადამიანის ბუნება ყოველ მდგომარეობაში მიისწრაფის უკეთესისაკენ და იმედი აქვს, რომ ხვალინდელი დღე უკეთესი იქნება, ვიდრე დღევანდელი იყო. ამ იმედით მთელი კაცობრიობა მოუთმენლად მოელის ახალ წელს: იქნებ მან დაგვიმკვიდროს მშვიდობა და უშიშარი ცხოვრება.

განსაკუთრებული იმედით მოელის ამ დღეს მოსკოვის მიერ ტყვედ ქმნილი მოსახლეობა, სადაც ადამიანი დაუფლებული ყავს სიღატაკეს და შიშს: შიში სახლში, შიში სამუშაოზე, შიში ქუჩაში, შიში მეგობართა შორის, რათა ორჭოფული არაფერი წამოსცდეს, რომელიც ხელისუფლებას საბაბს მისცემს მოაშოროს ყველას ვინც უყვარს და ვისთან ყოფნაც ატანინებს საბჭოეთის ჯოჯოხეთურ ცხოვრებას.

განსაკუთრებული იმედით მოელის ახალ წელს საბჭოთა კავშირში ტყვედ ქმნილი მოსახლეობა, რომელიც ოთხი ათეული წელი ცხოვრობს შეპირებით და იმედით: ოთხი ათეული წელი სრულდება, რაც კრემლის ბატონები პირდებიან ხალხს, რომ როდესაც რუსული კომუნიზმი დაეუფლება მსოფლიო კაპიტალს, მაშინ საბჭოთა მოქალაქესაც დაუდგება „საამური, ნეტარებისა და ბედნიერების ხანა“. მაგრამ ეს ბედნიერი და სანეტარო ცხოვრება უნდა შეიქმნას ოფლით, ცრემლით, სისხლით, კონცენტრაციული და იძულებითი შრომის ბანაკებით. რა ღირებულება აქვს ადამიანს კრემლის ბატონებისათვის, თუ ის არ შეეწირება მსოფლიო რევოლუციის მიზნებს, ე.ი. ტირანების ამბიციებს. ამიტომ რუსული კომუნიზმის ლიდერები ყოველ დღიურად ზრდიან ბეგარას, ყოველდღიურად ახალახალ მოთხოვნილებას უყენებენ მოქალაქეს და წარმოდგენას გადაცილებული სისასტიკით და მრისხანებით კრეფენ ხარკს.

ხარკის ამკრეფი და არა რუს ერთა ჟანდარმი ამ შემთხვევაშიც რუსის ხიშტია. საბჭოთა კავშირის შინაურ საქმეებში კარგად ჩახედული იტალიელი ჟურნალისტი **ალფინო რუსო** **„ილ რესტო დელ კარლინო“**-ში სწერს: მხოლოდ ისეთ ხალხს, შეპყრობილს ინდიფერენტული ავადმყოფობით, უინიციატივო და მორჩილი ბუნების, როგორც რუსებია, შეეძლო მიეღო საბჭოთა წყობა ყოველგვარი პროტესტისა და წინააღმდეგობის გარეშე, როგორც ღებულობდა და ემსახურებოდა მეფის რეჟიმს“-ო.

შეიძლება რუსი ადამიანი, თანაბრად არა რუსისა, განიცდის პიროვნების უფლების შელახვას, შეიძლება მასაც აქვს მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების მოთხოვნილება და ამ მხრივ ის უკმაყოფილოა რეჟიმით, მაგრამ ას მილიონზე მეტ არა რუს მოსახლეობაზე რუსეთის ბატონობა იმდენად აკმაყოფილებს მის ეროვნულ იმპერიალისტურ მოთხოვნილებას, რომ როგორც **ალფინო რუსო** ამბობს, თანახმაა ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე რეჟიმი მიიღოს და მას ემსახუროს.

მეორეს მხრივ, უფლება აყრილი, პირუტყვულ მდგომარეობამდე დაყვანილი საბჭოთა მოქალაქეც იდუმალებაში ატარებს და ზრდის სანეტარო მომავლის იმედს. მაგრამ მოქალაქის იმედები რადიკალურად ეწინააღმდეგება კომუნიზმის მიერ დასახულ მიზნებს. საბჭოთა მოქალაქე შესტრფის ახალ წელს გარკვეული ნატვრით: იქნებ საბჭოეთისაგან მოძულებულმა „კაპიტალისტურმა“ სამყარომ მალე დაამხოს თავისი დაუძინებელი მტერი კრემლის ტირანია და რკინის ფარდის იქითაც ეღირსოს ადამიანს ნორმალური ცხოვრება და თავსუფალი ამოსუნთქვა.

ასეთია კომუნიზმის ლიდერების და მისგან დამონებული ხალხის მომავლის იმედები.

ჩვენ, ჩვენი განცდებით ამ დამონებულ ხალხთანა ვართ და ვუსურვებთ ახალ წელიწადს მოეტანოს მათთვის თავისუფლება, შვება და ლხენა.

---

**„ქართული აზრის“ რედაქცია მხურვალედ გილოცავთ ქრისტეს შობისა და ახალი წლის დღესასწაულებს და გულწრფელად გისურვებთ მომავალი წელი ყოფილიყოს ყველა ქართველისათვის — საქართველოში და უცხოეთში — სიხარულისა და ბედნიერების წელი**

---

## მსოფლიოს აღრევის მიზეზები

### II

მეორე გარემოება, რომელმაც თანამედროვე რუსეთის მეთაურობა აიძულა უცხოეთის და კერძოდ შ. შტატების მიმართ ტონი შეერბილებინა არის ეკონომიური კრიზისი. სპეციალისტების აზრით, სასოფლო სამეურნეო პროდუქცია ჯერ კიდევ ვერ გაუთანასწორდა 1927 წლის დონეს.... ეს თარიღი არის ნეპის უკანასკნელი წელი, რითაც ლენინმა ამოსუნთქვის შესაძლებლობა მისცა ხალხს და წითელი რუსეთი იხსნა ეკონომიური კრიზისისაგან. შემდეგ სასოფლო მეურნეობა დასცა და დააქვეითა სოციალისტური წარმოების, კოლმეურნეობების შემოღებამ.

ისტორიაში ცნობილ ტირანთა შორის სტალინი ყველაზე უფრო სისხლის მსმელი და უხეში იყო. მან გამოიჩინა სახელმწიფოს მმართველობის დიდი უნარი, მაგრამ ხალხს თავისი მხეცური მრისხანებით ისეთი შიშის ზარი დასცა, რომ დამონებულ საბჭოთა მოქალაქეს ამოსუნთქვისაც ეშინოდა. ამ მრისხანე ავტორიტეტის მოსპობის შემდეგ, მოსახლეობას დაებადა იმედი, რომ ხელისუფლება ცოტა შეღავათს მისცემდა და ოცდაჩვიდმეტი წლის მანძილზე პერმანენტული სიღატაკის შემდეგ, მისი მატერიალური მდგომარეობაც შეიცვლებოდა.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ ფსიქოლოგიური მომენტიდან გამოდიოდა მალენკოვი, როდესაც „ნაკლები ზარბაზნების და მეტი კარაქის“ პრინციპი წამოაყენა. მაგრამ ბულგანინ-ხრუშჩოვის შეთქმულებამ მალენკოვი დასცა და ამასთან ერთად მოისპო მისი პოლიტიკაც და მოსახლეობას სტალინის სიკვდილით გამოწვეული იმედები არ გაუმართლდა.

საბჭოთა მოქალაქე მოქანცა თავის ლიდერების ტრაბახმა; ხუთწლიანი გეგმების ქებამ და მისი შედეგების სასურველობის გადაჭარბებამ. კრემლის მტკიცებით საბჭოთა კავშირის წარმოება უკვე ბევრი ხანია დაეწია და გაუსწრო ამერიკისას, მაგრამ ამით მოქალაქის ცხოვრება ოდნავადაც არ გამოცვლილა და წარმოუდგენელ სიღატაკეს თავი ვერ დააღწიეს. სტალინის ავტორიტეტის მოსპობამ-კი საბჭოთა მოქალაქე იმდენად გაათამამა, რომ მუშებში დაირღვა დისციპლინა და იძულებითი შრომის ბანაკებში თავი იჩინა მღელვარებებმა. მეორეს მხრივ, სასოფლო სამეურნეო კრიზისის დასაძლევად კრემლი იძულებული გახდა „სოციალისტური მეურნეობის“ სპეციალისტები კაპიტალისტურ ამერიკაში გაეგზავნა შესასწავლად თუ როგორ შეიძლება მიწიდან მეტი ნაყოფის მიღება.

საბჭოთა კავშირში ეკონომიური კრიზისის არსებობას. თავისუფალი ქვეყნების სპეციალისტებს გარდა. თვით საბჭოთა გაზეთებიც ვეღარ მალავენ. ცხადია, შინაგან გართულებებს საბჭოები დასძლევენ და პოლიციის აპარატი დისციპლინას აღადგენს. მაგრამ ამისათვის საჭიროა დრო და ამ პერიოდში წითელი იმპერიის მეთაურებს სჭირდებათ „კაპიტალისტური გარემოცვის“ კეთილმეზობლობა.

მესამე მომენტია ეროვნული ხასიათის ე.ი საბჭოთა კავშირად წოდებულ იმპერიაში ჩამწყვდეულ არა რუს ერებსა და რუსებს შორის ურთიერთობის საკითხი.

სტალინმა მეორე მსოფლიო ომის დასრულებისთანავე განაცხადა, რომ ომი მოიგო რუსის დიდმა ერმაო. ეს იყო ნიშანი, რომ რუსის ხალხში დაბუდებულ იმპერიალისტურ ლტოლვას თავი აეშვა და თავისი რუსულ-შოვინისტური ბუნება გამოევლინა. ამ დღიდან თავაღებულობა და არა რუს ეროვნებათა აშკარა ჩაგვრა თანდათან ძლიერდება. სტალინ-ბერიას ბატონობის დროსვე დაიწყო არა მარტო არა რუსი ერების რუსიფიკაცია, არამედ ავტონომიურ და საოლქო რესპუბლიკებიდან მკვიდრი მოსახლეობის აყრა და მათ ადგილზე რუსების ჩასახლება. ამ მხრივ ყველაზე ძლიერი იერიშები კავკასიაზე მიიტანეს და დღევანდლამდე არ შეუჩერებიათ.

ბერიას მოსპობის შემდეგ კავკასია მთლიანად რუსულ მხედრობას დაუმორჩილეს და იქ შექმნილი ტიკინა მთავრობებშიც რუსული ეროვნების მინისტრები გამრავლდა. საყოველთაო ბრძანებაა, რომ არა რუს ერებმა ყველაფერი უნდა დაიწყონ „დიდი რუსი ხალხის“ ქებით და ამითვე დაასრულონ. ადგილობრივი მწერლები, მეცნიერები და ყოველი დარგის კულტურული მუშაკები მოვალენი არიან ამტკიცონ, რომ „დიდი რუსი ერის“ გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ამა თუ იმ არა რუსი ერის არა თუ კულტურული განვითარება, არამედ მისი ფიზიკური არსებობაც. ამ ცდაში დამახინჯებულია ყოველი ისტორიული ფაქტი და მოვლენა. ბუნებრივია რომ ასეთ დაწოლას მოყვეს არა რუსი ერების მხრიდან საწინააღმდეგო რეაქცია.

ერთად აღებული ყველა ეს ფაქტორები საბჭოთა რეჟიმს იმდენად ასუსტებს, რომ თავისუფალი ქვეყნების „მოყიდვა“ და არსებული „სტატუს კვოს“ დაცვა გარდაუვალ პირობად გახდა რეჟიმის და შინაური მდგომარეობის განსამტკიცებლად.

ეს შინაგანი გართულებული მდგომარეობა აიძულებს კრემლს მიიღოს ბულგანინის „ღიმილის პოლიტიკა“. ასე რომ არ იყოს, ვინც გულწრფელად სდგას ზავისა და მშვიდობიანობის ნიადაგზე, მას არ სჭირდება ახალი კონფერენციები და დაზავების ახალი ორგანოების შექმნა, ვინაიდან, როგორც პირველ წერილში აღვნიშნეთ, გაერთიანებული ერების ქარტია ითვალისწინებს ყველა სავარაუდო მომენტებს და იცავს ყველა ზავისა და მშვიდობიანობის დამცველი ქვეყნის ინტერესებს.

ჩერჩილი თავის მოგონებებში იხსენიებს სტალინთან ლაპარაკის ერთ მომენტს: როდესაც იგი შეეხო ვატიკანს, როგორც უდიდეს მორალურ ფაქტორს, სტალინმა ირონიულად იკითხა: „რამდენი დივიზია ჰყავს პაპს“ო. ეს არ არის შემთხვევითი მოვლენა, არამედ დამახასიათებელი და საფუძველია საბჭოთა პოლიტიკისა. კრემლის ბატონებისათვის მორალი არ არსებობს და სცნობენ მხოლოდ უხეშ ძალას. კომუნიზმისა და კაპიტალიზმის თანაარსებობის შესაძლებლობას მაშინ გაიხსენებენ და ცხვრის ტყავში გახვეულნი ზავისა და მშვიდობიანობის მქადაგებლად იქცევიან, როდესაც მოპირდაპირე მხარეზე მრავალ და კარგად შეიარაღებულ დივიზიებს ხედავენ. მაგრამ თუ სადმე სუსტი ადგილი იპოვეს მყისვე იერიშზე გადადიან. ამ მდგომარეობაშია კაცობრიობა ოქტომბრის რევოლუციის პირველი დღიდანვე. ჯერ კიდევ შიგნით გაუმაგრებელი ბოლშევიკური რეჟიმი გაჰყვა ცარისტულ პოლიტიკას და მიზნად დაისახა მეფის რუსეთის საზღვრების აღდგენა. ხოლო როდესაც გენ. ვეიგანისა და ფრანგული სამხედრო შტაბის დახმარებით, პილსუცკიმ ვარშავასთან დაანგრია წითელი ჯარი, მოსკოვმა დაუყონებლივ ზავი მოითხოვა და მეგობრობისა და კეთილმეზობლობის ხელშეკრულება დასდო. 1920 წ. საქართველომ უკუაქცია წითელი რუსეთის ჯარი და გენ. კვინიტაძეს წინადადება რომ დაეკმაყოფილებინათ ბევრი შანსები იყო, რომ წითელი ჯარი განადგურდებოდა და მთელი კავკასია მისი გავლენისაგან და ოკუპაციისაგან განთავისუფლდებოდა. ამ გარემოებით დამფრთხალი მოსკოვი მიხვდა, რომ ვიდრე საქართველოს მცირე რიცხოვანი მაგრამ მაინც ჯარი ჰყავდა, ახდილი დატაკებით ვერას გახდებოდა და მიმართა რუსეთისათვის ჩვეულ მზაკვრულ ხერხს: — დასდო 1920 წ. 7 მაისის სამეგობრო და თავდაუსხმელობის ხელშეკრულება.

ამ ხელშეკრულებამ საქართველოს თავდაცვის გრძნობა დააჩლუნგა და გამოიწვია შეიარაღებული ძალების დემობილიზაცია. ეს იყო თურმე მოსკოვის მიზანიც. 1921 წ. თებერვალში მან შემოგვისია თავისი ურდოები და საქართველო დაიპყრო.

იმ დროიდან დღემდე რუსეთის მზაკვრული პოლიტიკა რომ არ გამოცვლილა, ამის საბუთად საკმარისია მოვიგონოთ 1945 წლის თებერვლის 14-ს მოსკოვის მიერ ჩან კაი შეკთან დადებული ხელშეკრულება. ამის ძალით რუსეთი სცნობდა ჩან კაი შეკის სუვერენობას მთელი ჩინეთის ტერიტორიაზე და აღუთქვამდა, რომ არ ჩაერეოდა მის შინაურ საქმეებში და არ დაეხმარებოდა ხელისუფლების წინააღმდეგ აჯანყებულ კომუნისტებს. ხოლო ორი წლის შემდეგ მაო ცე დუნმა რუსული იარაღით და მათი სამხედრო მრჩევლების წყალობით განდევნა ჩან კაი შეკის მთავრობა და მთელი ჩინეთი მოსკოვის ინტერესების მსახურად აქცია.

წითლების მიერ ჩინეთის დაკავებას მოჰყვა კორეა, რომლის უფლების დაცვა მთელმა თავისუფალმა მსოფლიომ საკუთარი სინიდისის საკითხად გადააქცია.

საკმარისია ადამიანმა თვალი გადაავლოს მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მომხდარ არეულობებს, რომ მისი გამომწვევი რუსეთის მზაკვრული პოლიტიკის მიზნები ნათელი გახდეს, რომლებიც არამც თუ სტალინის, არამედ რომანოვების დინასტიის დამკვიდრებიდან აღარ გამოცვლილა და ერთხელ დასახულ მიზანს — მსოფლიოში ჰეგემონიას ემსახურება.

ასეთი იყო რუსული პოლიტიკის მორალი ყოველ ეპოქაში და ყოველი რეჟიმის დროს. ასეთია დღესაც. რუსეთის პოლიტიკის ნამდვილი მიზანი მუდამ აგრესია იყო და დღესაც აგრესიაა.. სხვანაირად გაუმართლებელი იქნებოდა ის წარმოუდგენელი რიცხვი შეიარაღებული ძალებისა, რომელიც მოსკოვმა ომის შემდეგ შემოინახა და შექმნა თავის სატელიტებში.

(გაგრძელება იქნება)

**დ. სინდიკელი**

---

## რუსულ ემიგრაციაში

### II

განსაკუთრებით ომის შემდეგი წლების მანძილზე ყოველი მიმართულების რუსული ორგანიზაციის ცდაა ბოლშევიზმის წარმოშობის სურათი მცდარად დასახოს და ქვეყნიერებას დაუმტკიცოს, რომ აქ რუსის ხალხი არაფერ შუაშია. თითქოს ბოლშევიზმი გავრცელდა როგორც ინტერნაციონალური იდეა და მოედო ქვეყნიერებას. აქედან გამომდინარე რუსული დასკვნაა: თვით რუსეთიც ისევე იტანჯება კომუნისტური სიტლანქის ქვეშ, როგორც არა რუსი ერები. კიდევ მეტი: თითქოს კომუნიზმთან ბრძოლაში ყველაზე მეტი მსხვერპლი რუსეთმა გაიღო. აი დებულება, რომელიც ყოველმა რუსმა სახარებად გაიხადა და ყოველ უცხოელს პირში აჩეჩებს.

ფაქტები კი ღაღადებენ, რომ ოქტომბერი რუსეთში მოხდა და იქ დაიდგა ბინა. ამ დროს რუსეთის იმპერიაში შემავალი არა რუსი ერები თავიანთ სახელმწიფო ორგანიზაციებს დემოკრატიულ პრინციპებზე ქმნიდენ და ბოლშევიზმამდე არ მისულან. თვით ის ფაქტი, რომ „ერთმა მუჭა შეიარაღებულმა“ ბანდამ, როგორც რუსული პრესა უწოდებს იმ დროინდელ ბოლშევიზმს, — დაამარცხა კარგად შეიარაღებული და მილიტარულად გაწვრთნილი დენიკინის, ვრანგელის, კოლჩაკის და სხვა ჯარები, იმის მღაღადებელია, რომ რუსის ხალხში იყო რაღაც საფუძველი, რომელზედაც დაეყრდნო კომუნიზმი. მართალია მას თანდათანობით და თავიდანვეც ჰყავდა მომხრეები არა რუსი ერების ავანტიურისტულ ელემენტებში, მაგრამ ამ პარტიის იდეოლოგები,

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასაყრდენი და საფუძველი რუსები იყვნენ. შიდა რუსეთმა თითქმის არავითარი წინააღმდეგობა არ გაუწია კომუნიზმის გაბატონებას და სამოქალაქო ომის მთელი ოპერაციები არა „ველიკოროსიას" ეთნიური ტერიტორიის გარეშე გათამაშდა

კერძოდ საქართველო მენშევიზმზე შეჩერდა, რადგან თავისი ისტორიული ტრადიციებით მას უკიდურესობა არ სჩვევია და არ უყვარს. საქართველო ამ დროს თავის ეროვნულ ისტორიულ ჩარჩოებს დაუბრუნდა და კულტურულ ერთა ოჯახში იმკვიდრებდა თავის საპატიო ადგილს. საქართველოს არ გამოუვლია სამოქალაქო ომი, რადგან მთელი ქართველი ერისათვის გადაუდებელი ამოცანა იყო ეროვნულ სახელმწიფო ორგანიზმის მოწყობა და დამოუკიდებელი არსებობისათვის ზრუნვა. თავისუფალსა და ფარულ არჩევნებში ქართულმა კომუნისტურმა პარტიამ ვერც ერთი დეპუტატი ვერ გაიყვანა და სასტიკი და სამარცხვინო დამარცხების შემდეგ ქართველი კომუნისტები კომუნიზმის მშობელ რუსეთს შეეხიზნენ.

ნუთუ „ჩასოვოი"მ და მისმა თანამშრომელმა ბ-ნმა ტოკაევმა ეს არ იციან, და თუ იციან რითი აიხსნება ტოკაევის განცხადება, თითქოს „მთელ საბჭოთა კავშირში ისე პატივით არსად არ იხსენიება სტალინის სახელი, როგორც საქართველოშიო" და ამატებს: „ეს სავსებით გასაგებიც არისო". ეს თუ უვიცობით არ მოსდის მას, მაშინ საქმე გვაქვს ბოროტ განზრახვასთან. ჯერ დაგვისახელოს ბ-ნმა ტოკაევმა საბჭოთა იმპერიის ისეთი კუთხე, სადაც სტალინის სახელი უპატიოდ იხსენიებოდა, ხოლო შემდეგ გაიხსენოს სად და რომელ ქვეყანაში მოეწყო სტალინის წინააღმდეგ შეიარაღებული აჯანყებები? რამდენადაც ვიცით საქართველო ერთად ერთი ქვეყანაა, სადაც სტალინს გაუბედეს პირდაპირი ლაპარაკი, რამაც „რუსეთის დიდ ბელადს" ათქმევინა: „საქართველოში ბევრი სარეველა ბალახი მოსულა და მას გადახვნა სჭირდებაო" და მას შემდეგ დაიწყო ქრთველი ერის შეუჩერებელი „ხვნა" და განადგურება. გუთნად სტალინმა მეორე ქართველი, ბერია იხმარა და ამ განუშორებელმა წყვილმა ისტორიაში ნ-ბილ ტირანების მრისხანებას გადააჭარბა მშობლ ური ერის და ხალხის „გადახვნაში".

ლ. ტროცკი თავის წიგნში „სტალინი" სწერს: „თ ი 1ას სტალინს დაავიწყდა, რომ ჩვენ 1920 წ. 7 მაის ხელი მოვაწერეთ ხელშეკრულებას და 1921 წ. 11 თებერვალს მისი ბრძანებით, წითელი არმიის ნაწილებმა გადალახეს საქართველოს საზღვრები. ამის შესახებ პოლიტბიუროს დიდმა უმრავლესობამ არაფერი ვიცოდით და სტალინმა ფაქტის წინაშე დაგვაყენაო". მაშასადამე, აქ ადგილი ჰქონია ერთი სახელმწიფოს მიერ მეორის დაპყრობას და ამის ინიციატორი სტალინი ყოფილა. სტალინი, რომელიც ტოკაევის ცნობით საქართველოში თურმე ყველაზე დიდი პატივით იხსენიება. განა დასაჯერებელია რომ ხალხმა დაივიწყა სტალინის მუხანათური როლი საქართველოს დაპყრობის საქმეში? ჩვენ ვიცით რომ ეს არ არის მართალი. ქართველებმა სტალინს ხუთი შეიარაღებული აჯანყება მოუწყეს, ეს არის მისდამი განსაკუთრებული „სიყვარულის" მაჩვენებელი.

ტოკაევის წერის მანერა გვაფიქრებინებს, რომ ის უვიცი და მოვლენებში გაურკვეველი არ არის, ამიტომ მას რაღაც განზრახვა უნდა ჰქონდეს როცა ამ ზღაპარს სწერს. უპირველე სად ეს დაწერილია ევროპა - ამერიკისათვის. მისი მიზანია უცხოელებს დაუმტკიცოს, რომ რუსეთში შექმნილი ჯოჯოხეთი რუსული მოვლენა არ არის; რუსული იმპერიალიზმი, რომელიც დღეს კაცობრიობას წალეკვით ემუქრება და მსოფლიოს ართმევს მშვიდობიანი კონსტრუქტიული მუშაობის საშუალებას, არ არის რუსეთის მოგონილი და ეს ყველაფერი თავზე მოახვია სტალინმა, რომელიც ქართველია და რომელიც ყველაზე მეტად ქართველებს უყვართ. მეორეს მხრივ ეს პროვოკაციაა თვით რუსების მიმართ. მათ ატეხილ შოვინიზმს ტოკაევი უფრო ახელებს, რომ ქართველმა სტალინმა რუსეთი დაიპყრო და მას თავზე მოახვია ქართული თეორიები. თუ ეს ასეა, მაშ დაჰკათ ქართველობას და შური იძიეთ რუსეთში ჯოჯოხეთის მომწყობი სტალინის სამშობლოზე. აი დასკვნა, რომელსაც გააკეთებს რუსი მკითხველი ტოკაევის სტატიებიდან.

ჩვენ ვიცნობთ „ჩერნოსოტენცების" ძველ ლოზუნგებს „ბეი ჟიდოვ სპასაი როსიუ", რომელსაც ტოკაევებმა მოდიფიკაცია გაუკეთეს და თავიანთ დროშაზე წააწერეს: „ბეი ჟიდოვ ნე ზაბივაი გრუზინ". ამ ლოზუნგის განაღდება მოხდა მეორე მსოფლიო ომის დროს. ჯერ რუსულ ე. ი. წითელ ჯარში, სადაც ქართველების მიმართ მოპყრობა ეჭვს არ სტოვებდა, რომ ისინი მიჩნეული იყვნენ მეორე ხარისხის ადამიანებად. წითელ ჯარში რუსი ოფიცრები და ჯარისკაცები ცდილობდენ დაემტკიცებინათ, რომ საბჭოთა რეჟიმს ქართველებისაგან მოელოდა ყველაზე მეტი საფრთხე. ხოლო გერმანელებთან ტყვეობაში, გერმანელებს აჯერებდენ, რომ ჩვენ ვიყავით სტალინის უერთგულესი ხალხი და ირონიულად გვეძახდენ „სტალინსკიე სოკოლი"-ს. ყირიმის ნახევარკუნძულზე გერმანელებმა მოაწყვეს „დასჯილთა ბანაკი". ჯალათებად იყვნენ რუსები, ყოფ. წითელარმიელები და მაზლვაურები. საკუთარი თვალით მინახია, როდესაც რუსები დიდ ლოდზე გაწოლილ ქართველ ტყვეს მათრახებს ურტყამდენ მხოლოდ იმიტომ რომ ის ქართველი იყო. ვისაც ტყვეთა ბანაკები გამოუვლია, ასეთი შემთხვევები ყველას უნახავს. ასეთია რუსეთში, ტოკაევებში დაბადებული, განვითარებული და გაკაჟებული საბჭოთა რეჟიმის ხალხთა ძმობა და მეგობრობა. ამ მაგალითიდან ცხადია, რომ ყოველი ფერისა და განცდის რუსი, ყველა პირობებში მტრობს ქართველს არა მარტო ეროვნულად, არამედ პიროვნულადაც. განსაკუთრებით მწვავედ განვიცადეთ ეს საბჭოთა „ძმობა" ვინც გერმანულ ტყვეთა ბანაკებში მოხვდა და იგემა რუსის „ძმური მათრახი" ან კომბალი და მათი თავაშვებული შოვინიზმი.

ბ. ტოკაევმა ეს განწყობილება ემიგრაციაში გადმოიტანა მაგრამ მათრახების მაგივრად ხმარობს უფრო მჭრელ იარაღს: პრესას:

„არასოდეს არ უნდა დავივიწყოთ, რომ სტალინი რუსი არ არის და ქართველია. ყოველ შემთხვევაში მას საქართველო უფრო მეტად უყვარს ვიდრე რუსეთი, ეს დანამდვილებით ვიცითო," ამბობს ბ-ნი ტოკაევი.

სტალინი რომ ქართული წარმოშობის იყო ეს ცხადია, მაგრამ რომ სტალინმა ტოკაევის სამშობლო რუსეთს დაუპყრო ხელმეორედ საქართველო, ესეც ფაქტია. ვის მიზნებს ემსახურებოდა სტალინი, საქართველოსას რომელიც დაიპყრო და მეფის რუსეთის ყაიდაზე რუსეთის პროვინციად აქცია, თუ რუსეთისას, რომელსაც საქართველო შეუერთა? მაშ საიდან დაასკვნა ბ. ტოკაევმა, რომ სტალინს საქართველო მეტად უყვარდა ვიდრე რუსეთი და რომელი წყაროა რომ ათქმევინებს: „ეტო იზვესტნო დოსტოვერნო"?

ეს წყაროა რუსული შოვინიზმი, რომელიც ვერ იტანს ვერც ერთ ერს, რომელიც არ ღებულობს რუსების ბატონობას და თავის არსებობას იცავს.

**ს. კაიშაური**

(გაგრძელება იქნება)

## საქართველო უსტალინოდ და უბერიოთ

ჩვენ საშუალება მოგვეცა ამ უკანასკნელ ხანში გადაგვეთვალიერებია საბჭოთა საქართველოდან მოსული წიგნები და სხვა პერიოდული გამოცემები, სადაც გამოვლენილია ამ მლიქვნელი ერთგულების დემონსტრაცია. ისე როგორც გასული საუკუნის პირველ ნახევაში, განსაკუთრებით 1832 წ. შეთქმულების შემდეგ, თვითმპყრობელურ რუსეთის წინააღმდეგ ამბოხებებით დაქანცულმა საქართველომ თანდათან შეანელა მეფის რეჟიმთან ბრძოლა. ერის გადარჩენილმა მცირე ჯგუფმა ბრძოლა შეცვალა კულტურული მუშაობით. ხოლო ამისათვის საჭირო იყო ერთი პირობა: ერთგულება ტახტის (ე. ი. რუსეთის). მიუხედავად გამარუსებელი პოლიტიკისა და ქართველი ერის დევნისა მაინც ხერხდებოდა მცირედი საზოგადოებრივ-კულტურული მუშაობა. ამას იწყნარებდა მაშინდელი საოკუპაციო ხელისუფლება, რომ რამენაირად ქართველების გული მოეგოთ. ძალაუნებურად ნებადართული იყო, თუ რუსეთის ერთგულების გზას არ გადაუხვევდენ, დაეწერათ სამშობლოს სიყვარულზე, განსაკუთრებით საქართველოს წასულზე. ასეთი მდგომარეობა გაგრძელდა ათეული წლები, სანამ ჩვენს ქვეყანას არ მოევლინა დიდი ილია ჭავჭავაძე და ხმა არ აღიმაღლა ყოველგვარ უფლება აყრილ საქართველოს დასაცავად.

ანალოგიურ ხანას განიცდის საქართველო ამჟამად: მისგან სულიერ მონობას და სრულ მორჩილებას მოითხოვენ. გაზეთის ყველა წერილები, თუ ქართველი კომუნისტების მიერ საჯაროდ ნათქვამი სიტყვები, ან სხვა და სხვა საგანზე დაწერილი წიგნები (ლიტერატურა, ისტორია, და სხვ.) იწყება და თავდება დიდი რუსეთის ქებით. ყოველნაირად ეტყობა, რომ ქართველი კომუნისტები განიცდიან მოსკოვის იძულებას. რუსული ნაციონალური ბოლშევიზმი მიდის ძველი მონარქიული რეჟიმის გატკეპნილი გზით. აჩქარებული ტემპით სწარმოებს ქართველი ერის გამარუსებელი პოლიტიკა. სახელმწიფო დაწესებულებებში, საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში რუსული ენაა გამეფებული. ყველა დიდ ქალაქებში გახსნილია რუსული გიმნაზიები. გაზეთ „კომუნისტში" მოთავსებულია ხშირად ცნობები, სადაც სხვა და სხვა დაბები მოითხოვენ საჩქაროდ რუსული გიმნაზიების გახსნას (მაგ. ტყიბული, ოზურგეთი და სხვ). სახელმწიფო უნივერსიტეტში ლექციები იკითხება სანახევროდ რუსულ ენაზე, ასევე დისერტაციასაც იცავენ რუსულად. რუსული კულტურის და ლიტერატურის ნამდვილი კულტია დაწესებული ქათველი მწერლებისათვის: ყველამ დიდი რუსეთი სიყვარულით და მოწიწებით უნდა მოიხსენიოს. ყველა რუსი, თუნდაც ცარისტული გენერლები, რომელნიც საქართველოს ცეცხლითა და მახვილით იპყრობდენ, ქებით და შარავანდედით შემოსონ. სრული დუმილი იმ რუსების შესახებ, რომელნიც ძარცვავდენ საქართველოს და მის სიმდიდრეს ითვისებდენ, ისე როგორც ახლა კომუნისტები. რუსეთის მიერ კევკასიის დაპყრობა დიდ ისტორიულ და პროგრესიულ მოვლენად არის დაკანონებული. ყველაფრის ჩამოთვლა ძალიან შორს წაგვიყვანდა, დავა-

## რას ამბობს ისტორია?

რუსეთის ბატონობის დამკვიდრების შემდეგ ქართველობა მუდამ განიცდიდა ეროვნულ ჩაგვრას. ქართული ენის, კულტურის, ტრადიციების და ეკლესიის დევნას უკვე 150 წლის ისტორია აქვს, მაგრამ მთელი ამ დროის განმავლობაში იშვიათად ყოფილა ხანა, როცა რუსიფიკაციის პოლიტიკას ისე მახინჯი სახე მიეღოს როგორც ამჟამად.

დღეს საქართველოში სავალდებულოა ქება და განდიდება არა მარტო საბჭოთა პერიოდის რუსების, არამედ იმ ეპოქის პოლიტიკის და მოღვაწეებისა, რომლებსაც თვით რუსი ბოლშევიკები ებრძოდენ მათი პარტიის ჩასახვის დღიდან. ძველი რუსეთის პოლიტიკას თურმე საქართველო დაუყენებია აღორძინების გზაზე და რუსეთის ხალხს ქართველობა უხსნია სრული მოსპობისაგან. მთელრიგ რომანებში, მოთხრობებში, თეატრის პიესებში და ყოველდღიურ პრესაში ეს აზრი გამუდმებით მეორდება. პროპაგანდისტების უსირცხვილობა იქამდე მიდის, რომ ასახელებენ კონკრეტულ შემთხვევებსაც, როცა რუსეთის ჯარმა თითქოს იხსნა საქართველო. ასეთ შემთხვევებად სთვლიან ასპინძისა და კრწანისის ბრძოლებსაც. თავხედობა და უსინიდისობა ამაზე შორს ველარ წავა.

რა მოხდა სინამდვილეში ამ ბრძოლების დროს და რას ამბობს ისტორია, დაწერილი თვით რუსი ისტორიკოსების მიერ?

ოსმალეთთან ომის მოლოდინში რუსეთის სტრატეგიული ინტერესები მოითხოვდა მცირე აზიაში სადივერსიო ფრონტის გახსნას და ამ მიზნით საქართველოს ტერიტორიის ოსმალეთის საწინააღმდეგო ბაზად გადაქცევას. იმპერატრიცა ეკატერინას მთავრობა ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ ქართველ მეფეებთან, სოლომონ პირველ და ერეკლე მეორესთან აღწევს შეთანხმებას, რომ საქართველო რუსეთის მოკავშირედ ჩაერევა ოსმალეთის წინააღმდეგ ომში. რუსეთი თავის მხრივ კისრულობს შემდეგ მთავარ პირობებს: 1) საქართველოში გამოგზავნოს ომის საწარმოებლად საჭირო რაოდენობით ჯარი და იარაღი; 2) ომის დამთავრების შემდეგ საზავო ხელშეკრულებაში შეიტანოს მუხლები რომლის ძალით საქართველო განთავისუფლდება პორტას პრეტენზიებისაგან და დაიბრუნებს ოსმალეთის მიერ წაგლეჯილ ტერიტორიებს. ამ პირობებმა ქართველი მეფეები დააკმაყოფილა და ისინი აქტიურად შეუდგენ სამზადისს. ერეკლე და სოლომონი ორჯერ შეხვდენ ერთმანეთს მოქმედების საერთო გეგმის შესადგენად. ქართველებმა პირობა შეასრულეს და მზად იყვნენ ომის დასაწყებად. ჩქარა მართლაც გამოიგზავნა რუსული ჯარის ნაწილებიც. თუმცა ნაკლები რაოდენობით ვიდრე დაპირებული იყო, მაგრამ მაინც ეს იყო რუსული ჯარი. ეს იყო პირველი შემთხვევა, რომ ქართველებმა რუსები საკუთარი თვალით ნახეს და რუსებმა საქართველო. ამ შეხვედრას უფრო ღრმა და მნიშვნელოვანი შედეგები მოჰყვა, ვიდრე მაშინ ყველაზე შორსმჭვრეტელი პოლიტიკოსის გონება წარმოიდგენდა. საქართველოს თავისი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე ბევრი სხვა და სხვა ქვეყნის ჯარები უნახავს. აქ ყოფილან მტრებიცა და მოკავშირეებიც, მაგრამ არც ერთ ქვეყანას ის ფარული განზრახვა არა ჰქონია, რომლითაც რუსეთი ჩვენში მოვიდა. მოკავშირედ, მეგობრად მოსულ რუსობას, როგორც უფრო გვიან გამოირკვა, საიდუმლოდ სულ სხვა გეგმები ჰქონია. მაგრამ შორიდან ამის დანახვა შეუძლებელი იყო და ერთმორწმუნე ქვეყნის ლაშქარს, საქართველოს მტრების წინააღმდეგ საბრძოლველად რუსეთიდან წამოსულს ქართველები სიხარულით შეხვდენ.

1769 წლის აგვისტოში, კავკასიის ქედზე გადმოსულ რუსის ჯარს თვით ერეკლე შეეგება თავის ამალით. რუსის ლაშქარს, რომელიც შესდგებოდა 3.767 კაცისაგან" მეთაურობდა გენერალ მაიორი, გრაფი გოტლობ კურტ ჰენრიხ ტოტლებენ. ერეკლე მეფისა და რუსის გენერლის პირველი შეხვედრა მოხდა 29 აგვისტოს სოფელ კობის ახლოს, ადოს მინდორზე. რუსის ჯარი მეფეს ეცოტავა. მისი აზრით სერიოზული სამხედრო მოქმედების დასაწყებად რუსებს 15 პოლკი მაინც სჭირდებოდათ. ქართულ ძალებს ის 70—80 ათას ანგარიშობდა — 40-50 ათასი ქართლ-კახეთიდან და 30 ათასი იმერეთიდან. რუსული ჯარის შეიარაღებითაც არ იყო ერეკლე კმაყოფილი. ტოტლებენის 12 ზარბაზანი, ნადირშაჰის ინდოეთში ლაშქრობათა მონაწილეს რასაკვირველია ვერ დააკმაყოფილებდა. მაგრამ მიღებული ცნობებით ეს მხოლოდ მოწინავე ნაწილი იყო, რომელსაც უკან სხვაც უნდა მოჰყოლოდა.

თანახმად შემუშავებული გეგმისა სამხედრო ოპერაციები იმერეთში უნდა დაწყებულიყო. რუსები პირველ რიგში სოლომონ პირველს უნდა დახმარებოდენ შორაპნისა და ქუთაისის ციხეებიდან თურქული ნაწილების გასადევნად. მტრისაგან იმერეთის გაწმენდის შემდეგ რუსებისა და იმერეთის ჯარს ერეკლეს ლაშქარიც შეუერთდებოდა, რომ საერთო ძალებით ახალციხისათვის შეეტიათ.

სექტემბრის დამლევს რუსის ჯარი იმერეთის საზღვრებს მიადგა. აქ ეგებება იმერეთის მეფე სოლომონი. ურთიერთ მისალმებისა და ასეთ შემთხვევებში მიღებული საზეიმო ნადიმობის შემდეგ, იმერეთის მეფე რუსის ჯარს შორაპნის ციხისაკენ მიუძღვება. ამ ციხის ალებით უნდა დაწყებულიყო ამიერ კავკასიაში ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლები. 3 ოქტომბერს ტოტლებენის რაზმი იმერეთის ჯართან ერთად შორაპნის ციხეს შემოერტყა. თურქული გარნიზონი კარგად გამაგრებული აღმოჩნდა და უბრძოლველად დათმობას არ აპირებდა. ციხის შემოქალტვა ორი დღის დაწყებული იყო, როცა სოლომონს აცნობეს, რომ ფოთის გარნიზონიდან თურქების ერთი ნაწილი შორაპნისაკენ დაიძრა ალყა შემორტყმულთა მისაშველებლადო. მეფემ ეს ამბავი მაშინვე ტოტლებენსაც აცნობა, მთელი თავისი ჯარი მის განკარგულებაში დატოვა რათა ალყა არ შესუსტებულიყო და მხოლოდ 200 კაცით გაეშურა ფოთიდან წამოსულ თურქთა შესახვედრად. ტოტლებენის ამოცანას ჯერ-ჯერობით მხოლოდ ალყის შენახვა შეადგენდა. უწყლოთა და უსურსათოდ ჩაკეტილი გარნიზონი რამდენიმე დღეში იძულებული გახდებოდა ჩაბარებულიყო. რუსებს ციხეზე იერიშის მიტანა არ სჭირდებოდათ. საჭირო იყო ლოდინი. იმერეთის მეფის ინსტრუქციაც ასეთი იყო. მიუხედავად ამისა, ყველასათვის მოულოდნელად, რუსის გენერალმა შორაპანს ალყა მოხსნა და თავისი რაზმით ქართლისაკენ გაჰქუსლა. 13 ოქტომბერს რუსის ჯარმა გორს მიაღწია და საზამთროდ დაბანაკებას შეუდგა. შორაპნის ციხე ქართველებმა მაინც აიღეს, მაგრამ რუსის გენერლის გაქცევამ მთელ იმერეთზე და მის მხედრობაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. გამართლება შეუძლებელი იყო ასეთი საქციელისა. ქართველებს ვერ გაეგოთ, როგორ შეიძლებოდა ასე მოულოდნელად ბრძოლის ველიდან გაცლა და მოკავშირის გაუფრთხილებლად ბრძოლაზე ხელის აღება. ეს იყო აშკარა ღალატი, მაგრამ რაინდულ ტრადიციებზე აღზრდილ მეფესა და მის მხედრობას ასეთი აზრი დაუჯერებლად მიაჩნდათ. ტოტლებენის გაქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელებ მხოლოდ ზოგიერთ ფაქტებს: ამ წლის 4 აპრილს შესდგა მეოთხე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესია. თავმჯდომარედ აირჩიეს უხუცესი დეპუტატი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე პრეზიდენტი ალ. ჯანელიძე. მის მიერ წარმოთქმულ სიტყვაში გამოთქმულია სავსებით კომუნისტური პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკური „სიბრძნე". ის ამბობს: „კომუნისტური პარტიის მთავარი მიზანია საბჭოთა კავშირის შემდგომი ძლიერების განმტკიცება, ხალხის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესება, მთელ მსოფლიოში მშვიდობის დამყარება და შინ სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის დამთავრება და სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლა".

ყველასათვის სავალდებულო მოსკოვის მთავრობის ქება-დიდება. აბა ვინ გაბედავს ხელისუფლების მოქმედების დაწუნებას„ ისიც იმეორებს: საქართველოს უმაღლესი საბჭოს ყრილობა, მხურვალედ ესალმება და ერთსულოვნად იწონებს და მხარს უჭერს კომუნისტური პარტიის და საბოთა მთავრობის ბრძნულ საშინაო და საგარეო პოლიტიკას. მისი თქმით, ქართველი ხალხი აღფრთოვანებულია, პარტიის იანვრის პლენუმის ისტორიული გადაწყვეტილებით, მთელ ძალას და ენერგიას იკრებს ამ გადაწყვეტილებათა წარმატებით შესრულებისათვის. ამის შემდეგ იწყება მუქარა: ჩვენ მშვიდობა გვწყურია არა იმიტომ. რომ სუსტები ვიყოთ, არამედ იმიტომ, რომ გვინდა შეუფერხებლად ვაშენოთ ჩვენი ბედნიერი მომავალი. ხოლო თუ ვერაგი მტერი გაბედავს მაინც დაარღვიოს ჩვენი მშვიდობიანი ცხოვრება და ახალი ომი გააჩაღოს, მას თავს დაატყდება „მშვიდობის მოყვარე ხალხთა" გულისწყრომა და ეს ომი მთელი დრომოჭმული კაპიტალისტური სისტემის დაღუპვით დამთავრდება.

მის სიტყვიდან აშკარად სჩანს, რომ დიდ ისტორიულ თარიღად არის აღიარებული 1921 წ. „მშვიდობის მოყვარე ბოლშევიკურ რუსეთის" მიერ თავისუფალი საქართველოს დაპყრობა. პროფ. ალ. ჯანელიძე გვარწმუნებს, რომ საქართველო. წვრილი მეურნეობის ქვეყანა, დღეს მსხვილი ინდუსტრიის ქვეყნადაა ქცეული და ყოველივე ამას ქართველი ერი უნდა უმადლოდეს საბჭოთა კავშირის მოძმე ხალხების, **პირველ რიგში დიდი რუსის ხალხის დახმარებას.** და არა ქართველი ხალხის დაუცხრომელ შრომას. დიდი რუსის ხალხის ასეთი ამაგის აღნიშვნა სავალდებულოა ყოველი ქართველისათვის, თვით ქართველი კომუნისტებისათვის, რომ სიცოცხლე შეინარჩუნონ და მოიპოვონ საქართველოში ცხოვრების უფლება. დიდი რუსეთის იდეის განმტკიცებას ემსახურება თეატრიც. იწერება სხვა და სხვა პიესები, სადაც გატარებული და დასაბუთებულია საქართველოს რუსეთისადმი ორიენტაციის აუცილებლობა. ახლა იქ დიდ მოწონებაშია ვ. კანდელაკის პიესა „მაია წყნეთელი". სიუჟეტი აღებულია მეფე ერეკლეს დროიდან. აქაც პატრიოტულ ფრაზეოლოგიებში ჩაქსოვილია დიდი რუსეთის მფარველობის უმჯობესობა პატარა საქართველოსთვის, ვიდრე თავისუფლად და დამოუკიდებლად არსებობა. აქ გამართლებულია ერეკლე მეფის რუსეთის ორიენტაცია და მას სთვლიან დიდ მხედართმთავრად, მებრძოლ სახელმწიფო მოღვაწედ, მხოლოდ იმიტომ, რომ სხვას მან ერთმორწმუნე რუსეთი არჩია. ამ მხრივ პიესაში საყურადღებოა ერეკლეს საუბარი მაიასთან: „არც რომის პაპი, არც მაჰმადი, სამშვიდობო ნავთსაყუდელი, ჩემო ბიჭო, ერთმორწმუნე რუსეთთან კავშირი არის". აი ამ პიესის პოლიტიკური ფილოსოფია მოსკოვიდან შთაგონებული. დანარჩენი შიგ იდილიური პატრიოტიზმია. საჭიროა აღინიშნოს, რომ აქ სავსებით დავიწყებულია განზრახ ნ. ბარათაშვილის პოემის (ბედი ქართლისა) მეორე თეზა, სოლომონ ლეონიძის მიერ თქმული მეფისადმი:

„სახელმწიფოსა სჯულის ერთობა არა რას არგებს,
„ოდეს თვისება ერთა მის შორის სხვადასხვაობდეს.
„ვინ იცის, მაშინ როგორ მოუხდეს რუსეთის ძალი ქართლს აწინდელი:
„ვით შეითვისოს რუსმა ქართველი.
„ვით შეიწყნაროს რუსთ მეფობამა,
„რაც მოისურვოს ქართველობამა".

ასეთი აზრები საშიშია დღეს ბოლშევიკებისათვის და ხელსაყრელი არ არის ქართველი კომუნისტებისათვის.

ასევე ინტერეს მოკლებული არ არის ახლახან გამოცემული „ქართული ლიტერატურის ისტორიის" პირველი ტომი, პროფ. კ. კეკელიძის და ალ. ბარამიძის, რომელიც დაწერილია მარქსისტული მეთოდით და გავსებული მარქსის, ენგელსის, ლენინის, სტალინის, და ასე გასინჯეთ კალინინის ციტატებით. ეს იმდენი უბედურება არ იქნებოდა ქართული ლიტერატურისათვის (მკითხველი ადვილად შეამჩნევს ამ ციტატების უადგილობას), რომ შიგ არ იყოს ჩაწვეთებული დიდი რუსეთის „კეთილმოსურნეობის" შხამი. მოვიყვანოთ დამახასიათებელი ადგილები: „განსაკუთრებულ კავშირს აბამს ჩვენი მწერლობა ამ პერიოდში (17—18 საუკ.) რუსულ მწერლობასთან. **ერთმორწმუნე რუსეთისადმი ღრმა ერთგულებამ განსაკუთრებით თავი იჩინა მე 18 საუკ.** ცნობილია, რომ ეს ურთიერთობა რუსეთთან შემდეგში კიდევ უფრო გაძლიერდა და გარკვეული პოლიტიკური კავშირის ხასიათი მიიღო, რასაც სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი ქვეყნისათვის. **რუსმა ხალხმა აღმოუჩინა ქართველ ხალხს უანგარო, რეალური დახმარება. რუსეთმა იხსნა საქართველო გადაგვარების და გადაშენებისაგან. რუსეთმა დაიცვა საქართველო სპარსეთ-თურქეთის აგრესიისაგან."** „იმავე პერიოდში საქართველოსთან დაახლოვებას ცდილობს დასავლეთ ევროპა, კათოლიკე მისიონერების საშუალებით. მისიონერების დახმარებით ქართველ საზოგადოების გარკვეულ ნაწილს უნდოდა დაემსახურებია ყურადღება დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებისა. მისიონერები როგორც ცნობილია ნამდვილად იყვნენ დახელოვნებული აგენტები რომის პაპისა და დასავლეთ ევროპის კაპიტალისა, მისი პოლიტიკურ-ეკონომიური ექსპანსიისა აღმოსავლეთში, კერძოდ ჩვენშიაც" (გვ. 37).

„საქართველომ ბევრჯერ მიმართა დახმარებისათვის ქრისტიანულ ევროპას, მაგრამ ამაოდ. **ქართველი ხალხი დაღუპვისაგან და გადაშენებისაგან იხსნა დიდმა კეთილშობილმა რუსმა ხალხმა".** (გვ. 313).

„ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ **რუსეთმა ჩვენი ქვეყანა იხსნა ფიზიკური განადგურებისაგან".** (გვ. 314). **„რუსეთის საშუალებით საქართველო ეზიარა მოწინავე კულტურას. საქართველო შესდგა განახლების გზაზე".** (გვ. 314.*)

ზამოდ მოყვანილ ციტატებიდან აშკარაა თუ რა მოხერხებულ პროპაგანდას აწარმოებს რუსეთის ნაციონალური ბოლშევიზმი და რა ძალდატანებას ახდენს ქართველ მწერლებსა და მეცნიერებზე. ცდილობს მტკიცედ ჩაუნერგოს ქართველობას, რომ გარეშე რუსეთის მპყრობელობისა საქართველოსათვის ხსნა არ არის. ქართველი მეცნიერებისათვის-კი ეს მათ უნებურად ჩართული ციტატები, მათთვის ერთგვარი ვიზაა, რომ მათმა შრომებმა მზის სინათლე იხილოს.

ქართველი კომუნისტები მხოლოდ იმისათვის ილვწოდენ, რომ საქართველო ძღვნად მიეტანათ რუსეთისათვის თავიანთი ამბიციების დასაცხრომად. თუ სტალინმა თავის მიზანს მიაღწია და ისტორიულ პიროვნებად გახდა, სხვები და მათ შორის ბერიაც, სადღაც უკვალოდ და უსახელოდ დაიღუპენ. არც დანარჩენებს დაინდობს ულმობელი ბოლშევიკური აღმომავალი ნაციონალიზმის ჩარხის ტრიალი. ხოლო სავალალო ის არის, რომ მათი უგნურებით ქართველი ხალხი ზვარაკად ეწირება რუსულ იმპერიალიზმს.

რაც შეეხება საქართველოს კულტურულ-ეკონომიურ განვითარებას, ჩვენ ამას არ უარვყობთ თუმცა აქაც ბევრია გადაჭარბება და პროპაგანდა. ეს განვითარება ემსახურება მეტწილად რუსეთის იმპერიალისტურ ზრახვებს, ვიდრე ქართველი ხალხის კეთილდღეობას. წარსულში არც ერთი სახელმწიფო არ ძარცვავდა ისე უწყალოდ თავის კოლონიებს, როგორც ახლა ამას ბოლშევიკები შვრებიან საქართველოს მიმართ და ისიც საერთო სოციალისტურ „დიად სამშობლოს" სახელით.

ს. ჭირაქაძე

*) მოყვანილი ციტატები და ხაზგასმული სტრიქონები არ ყოფილა მათ პირველ გამოცემაში. ეს ახლად შექმნილი პირობებით არის გამოწვეული. აქ იგრძნობა რუსული ნაციონალიზმის აღმავლობა და დაწოლა ქართულ საზოგადოებრივ აზროვნებაზე.

---

ცევას უფრო შემთხვევით მოვლენად სთვლიდენ და მიაწერეს საქართველოს ბუნებრივ პირობებში გამოუცდელობას. ამიტომ ქართლში გადასულ ტოტლებენთან ერეკლე ურთიერთობას არა სწყვეტს და ერთად ამუშავებენ ახალციხის წინააღმდეგ სალაშქრო გეგმას. მარტის დასაწყისში, ერეკლე 7 ათასი მეომრით უერთდება ტოტლებენის რაზმს სურამში. ეს იყო თავსაყარი პუნქტი, საიდანაც უნდა დაწყებულიყო ახალციხეზე ლაშქრობა. ახალციხეს ერეკლე ძალიან დიდ მნიშვნელობას აძლევდა, რადგან ეს იყო საქართველოდან უახლოესი მსხვილი ბაზა ოსმალეთისა, საიდანაც ეწყობოდა დაუსრულებელი თარეშები. ამ ცენტრის მოშლით ესპობოდა სათავე იმ წყაროსაც, რომელიც კვებავდა იმერეთში მომქმედ ბანდებს. ყველაფერ ამას გარდა ერეკლეს ამოქმედებდა დაკარგული ქართული ტერიტორიის დაბრუნების სურვილი. ოპერაციის გეგმა თვით ერეკლეს ეკუთვნოდა, მაგრამ ტოტლებენი ყოველ წვრილმანზე თანახმა იყო. ამ გეგმით ახალციხეზე შეტევა მტკვრის მარჯვენა ნაპირით უნდა მომხდარიყო, სადგერი და აწყურით. ამავე დროს სოლომონის ჯარი ზეკარის უღელტეხილზე უნდა გადასულიყო და ახალციხისათვის ამ მხრიდან შეეტია. 15 აპრილს 1770 წელს, შეერთებული ჯარი დაიძრა ბორჯომის ხეობით აწყურ-ახალციხისაკენ. 17 აპრილს ისინი აწყურს მიადგენ, რომელიც თურქულ გარნიზონს ეჭირა. ამ ციხის აღებით იწყებოდა ნამდვილი ბრძოლა. ერთი დღის შესვენებისა და საჭირო თადარიგის შემდეგ, ერეკლეს ბრძანებით, 19 აპრილს დილა ადრიან ჯარს იერიში უნდა დაეწყო, და რადგან თურქული გარნიზონი მხოლოდ რამდენიმე ასი კაცისაგან შესდგებოდა, მეფის ანგარიშით, ციხე იმავე დღეს უნდა დაცემულიყო. ამ დროს მოხდა ისეთი ამბავი, რომელსაც რუსის ისტორიკოსებიც ვერ ამართლებენ. აი რას სწერს რუსი ისტორიკოსი, გენერალი პოტტო: „19 აპრილს ტოტლებენმა, ერეკლეს გაუფრთხილებლად დასტოვა ბრძოლის ველი და დაბრუნდა უკან სურამში. ქართულ ბანაკში ატყდა ჩოჩქოლი. ქართველები ხმამაღლა ყვიროდენ ღალატზე. თვით მაფე დაეწია ტოტლებენს და ეხვეწა არ წასულიყო. ამასთანავე დაპირდა რომ მზად იყო უმაღლესი სარდლობა მისთვის მიენდო და თითონ პატარა ოფიცრად ეომა. მაგრამ ტოტლებენმა თავისი არ დაიშალა და უკან დაბრუნდაო".

ამრიგად, ტოტლებენი აქაც სავსებით ისევე მოიქცა როგრც შორაპანში: ქართველები შეაგულიანა, თავისი რაზმით ბრძოლის ველამდე მიჰყვა და ბრძოლის დაწყების წინ, მოკავშირეთა გაუფრთხილებლად უკანვე გაიპარა. ცხადია აქ საქმე გვაქვს შეგნებულ, წინასწარ გამოანგარიშებულ მოქმედებასთან და სრულიად დაუსაბუთებელი და დაუჯერებელია რუს ისტორიკოსთა მტკიცება, თითქოს ეს მოვლენა თვით ტოტლებენის უხეირობის შედეგი ყოფილიყოს. ძნელი წარმოსადგენია, რომ გენერალმა 6 თვის მანძილზე ორჯერ ზედიზედ გაიმეოროს ერთი და იგივე ოპერაცია თავის მთავრობის სურვილის წინააღმდეგ. მით უფრო როცა საქმე ეხება ჯარის უკან დახევას, რაც სახელმწიფოს პრესტიჟის დამამცირებელია და ამიტომ მთავრობისათვის მტკივნეული საკითხია. ჯარის წინსვლის შემთხვევაშიც ვერც ერთი გენერალი იმას იქით ვერ წავა, რაც ნაბრძანები აქვს. ამიტომ, ცხადია, რუსის ჯარის განმეორებული მანოვრი, ბრძოლის ველზე მისვლა და ბრძოლის დაწყებამდე უკან გაპარვა, შეუძლებელია ტოტლებენს თავისი მთავრობის თანხმობის გარეშე ჩაედინა. ჩვენ ქვემოდ დავინახავთ რომ ეს მოსაზრება სწორია და ტოტლებენი ამ შემთხვევაში მხოლოდ გულმოდგინე აღმასრულებელი იყო პატერბურგში შემუშავებული მაკიაველური გეგმისა. რუსეთის პოლიტიკა რთულ კომბინაციას ქსოვდა: საქართველოს ომში ჩარევით ოსმალეთს ახალი ფრონტი გაუჩნდა და ამით ბრძოლის მთავარ ასპარეზზე მისი წინააღმდეგობის ძალა შესუსტდა. საქართველოსთან სამხედრო კავშირის მიზანი თითქოს ეს იყო. მაგრამ სინამდვილეში პეტერბურგს თავის გენერლისათვის დაუვალებია ორი კურდღლის ერთბაშად დაჭერა: ომს საქართველო ისე უნდა დაესუსტებინა, რომ ამიერ კავკასიის დაპყრობაში რუსეთისათვის ხელი ველარ შეეშალა. ამ იდეით უნდა ეხელმძღვანელა ტოტლებენს და საქმე ისე წაეყვანა, რომ ქართველებს რაც შეიძლება მეტი ზარალი ენახათ. გარეშე საქმეთა მინისტრი პანინი, რომელიც ერეკლეს და სოლომონს ერთგულებას ეფიცებოდა და გულუხვ დაპირებებს აფრქვევდა, საიდუმლო ინსტრუქციაში ტოტლებენს ურჩევს რუსის ჯარისკაცები არ აბრძოლოს და „ზარბაზნის ხორცად" ქართველები გამოიყენოს: „ბილა-ბი დუშა ზდეშნაია, а ტელო გრუზინსკოე".

ამით აიხსნება ორჯერ ზედიზედ ბრძოლის ველიდან რუსების გაქცევა. ტოტლებენის ანგარიშით მარტო დარჩენილი ქართველი მხედრობა მტერს უნდა გაენადგურებინა და მერე, დამარცხებულ ქვეყანას რუსეთი ადვილად დაეპატრონებოდა.

ამ გეგმაში ყველაფერი დიდი წინდახედულებით იყო გამოანგარიშებული და გარეგნულად ისე უნდა მოწყობილიყო, რომ რუსეთს ქრისტიანი პატარა ერის დამხმარე და მხსნელის პოზა შეერჩინა. რუსული პოლიტიკის აღმასრულებელ გერმანელ გენერალს ამ გეგმაში მეტად საპასუხისმგებლო როლი ჰქონდა დაკისრებული და მისი მოქნილობისაგან ბევრი იყო დამოკიდებული. მაგრამ ერთი რამ რაც რუსებმა ვერ გაითვალისწინეს საბედისწერო აღმოჩნდა მთელი ამ გეგმისათვის. რუსებმა ვერ გაითვალისწინეს ქართველი ერის შინაგანი სულიერი ძალა და ერეკლეს სამხედრო ნიჭი. ამან რუსეთის გეგმები ჩაფუშა და საქართველო გადაარჩინა კიდევ 30 წლით.

ტოტლებენისათვის სრულიად მოულოდნელად, ბრძოლის ველზე მარტო დარჩენილმა ქართველებმა ომი მოიგეს და გამარჯვებული ერეკლე ტფილისში დაბრუნდა. რადგან ამ ბრძოლამ მაშინ მთელი ამიერ კავკასიის ბედი გადასწყვიტა, ინტერეს მოკლებული არ იქნება მისი მსვლელობა მოკლედ მაინც განვიხილოთ.

რუსების გაქცევა თურქებმა მალე გაიგეს და მოინდომეს ამ მდგომარეობით ესარგებლათ. აწყურის ციხის გარნიზონი იერიშზე გადმოვიდა. ერეკლეს დასჭირდა თავისი ჯარის დისპოზიციის სავსებით შეცვლა და ცხადია, ძველი მდგომარეობის შეცვლის შემდეგ თვით ბრძოლის გეგმასაც გამოცვლა სჭირდებოდა. ყოველივე ეს სწრაფად უნდა მომხდარიყო, რადგან ბრძოლა უკვე გაჩაღებული იყო. ამ რთულ მდგომარეობაში მხოლოდ დიდ სტრატეგს შეეძლო თავის გართმევა. ერეკლემ მოკლე სიტყვით მიმართა თავის ჯარს:

„ჩემო მეომრებო! იცოდეთ, რომ ჩვენი უკან დაბრუნება არ იქნება. უმჯობესია აქ გავწყდეთ! თქვენ იცით და თქვენმა ვაჟკაცობამ!"

ეს ლაკონიური მოწოდება საკმარისი აღმოჩნდა ჯარისკაცთათვის რადგან ამას ერეკლე ამბობდა. მას თვალდახუჭული ენდობოდნენ. მისი სჯეროდათ. ჯარში წესრიგი აღსდგა. რუსების ღალატით გამოწვეული რყევა კვლავ იმედმა შესცვალა. თანახმად ერეკლეს ახალი გეგმისა აწყურის ციხეს ალყა მოხსნეს და ქართული ჯარი თურქთა მთავარი ძალების შესახვედრად სოფ. ასპინძისაკენ დაიძრა. აწყურიდან ასპინძისაკენ ორი გზა მიდის: ერთი შარა-გზა მტკვრის ნაპირით და მეორე აწყურიდან პირდაპირ, როკეთის მთით ასპინძაში გადადის, ეს არის საცალფეხო გზა. მიღებული ცნობებით თურქები ამ გზით მოდიოდნენ. მეფემაც ეს გზა აირჩია მათთან შესახვედრად. ალყის მოხსნა რომ გაიგეს, აწყურის თურქული გარნიზონი ქართულ ჯარს უკან დაედევნა და ჩქარა დაეწია კიდეც. არიერგარდი მაგრად დაუხვდა. ჩქარა მათ შორის ერეკლეც გაჩნდა: „რაოდენიმე ჩინებულითა და შინაყმითა თვისითა და შვიდითა ხევსურითა, განწირა თავი თვისი და ეკვეთა ფიცხლად ვიდრე სიკვდილამდე". ლომივით მებრძოლი მეფის დანახვამ მთელი ჯარი აღაფრთოვანა და ეს პირველი შეტევა ოსმალების დამარცხებით სრულდება. მაგრამ ეს შეტაკება საკითხს არ სწყვეტდა. მთავარი და გადამწყვეტი ბრძოლა მომავალში უნდა მომხდარიყო. ამ ანგარიშით ერეკლე თავის ჯარს ასაფრებს ასპინძის გარშემო მდებარე მაღლობებზე. მტკვარსა და მაღლობებს შორის მდებარე ვაკეზე, შუა ადგილი თითონ ერეკლემ დაიჭირა. მარჯვენა ფრთას სარდლობს დავით ორბელიანი. მარცხენას ბატონიშვილი ლევანი, ხოლო ტახტის მემკვიდრე გიორგის ებრძანა თავისი ნაწილი სათადარიგოდ შეენახა და ბრძოლაში მხოლოდ მაშინ ჩარეულიყო, როცა მამის ბრძანებას მიიღებდა.

20 აპრილს, დილით ოსმალები იწყებენ იერიშს, მაგრამ ქართველებს მარჯვე პოზიციები უჭირავთ და ამიტომ მოიერიშე ჯარს დიდი მსხვერპლი აქვს. ერეკლეს ბრძანებით ქართველები მტერს სულ ახლოს უშვებენ და მერე ერთბაშად უხსნიან ცეცხლს. კარგად ჩასაფრებული ქართველების ზარალი სრულიად უმნიშვნელოა. რამდენიმე იერიშის მოგერიების შემდეგ ერეკლე თითონვე გადადის შეტევაზე. ამ მიზნით: „ღამესა მას წარგზავნა მეფემან აღაბაბა ერისთავის შვილი, სვიმონ მუხრან ბატონის შვილი, ნასახჩი ბაში, ხუდია ბორჩალოელი და მამაცნი ყოველთა საქართველოსა შინა და ამცნო მათ რათა აჰყარონ ხიდი ასპინძისა; და მათ სრულჰყვეს ყოველივე". ოსმალთა ჯარების დიდი ნაწილი უკვე გამოსული იყო მტკვარზე და თავმოყრილი ვა

კეზე სოფელ ასპინძასთან. ერეკლემ მათ უკან დასახევი გზა მოუჭრა: ღამით ხიდს ბოძები გადაუხერხეს! შერჩეულ მომენტში ქართველები იწყებენ იერიშს. შუა გული და მარცხენა ფრთა იწყებს შეტევას და სროლით, თანდათან მტრის ჯარს მტკვრის ნაპირისაკენ იმწყვდევს. ალყის თავიდან ასაცილებლად მტერი ცდილობს კონტრ-იერიშზე გადმოსვლას. მათი ბანაკიდან განსაკუთრებული ძალის იერიში მოაქვს ცხენოსან ნაწილს, დაღესტანში ცნობილი ბელადი კოხტას სარდლობით. ერეკლე თვალს არ აცილებს ამ სარდალს. მან იცის რა ეფექტს მოახდენს მტრის ჯარზე ამ განთქმული სარდლის მოსპობა. სწორად გამოანგარიშებულ მომენტში ერეკლე თითონვე გადაეშვება ბრძოლაში: „და იქმნა ბრძოლა ძლიერი და თვით მეფემან მოჰკლა დაღესტნის წარჩინებული და მხნე ბელადი კოხტა და მყისვე ივლტოდენ ოსმალ-ლეკნი და მიუდგენ ქართუელნი და უმრავლესნი მოსწყვიტეს“. (იხ. ქართ. ცხოვრება, ნაწ. II, გვ. 401). ერეკლე ცხენდაცხენ შეება მტრის სარდალს და განსაცვიფრებელი სიმარჯვის წყალობით დასძლია ის. მტრის ცხენოსან ნაწილს მეთაური დაეღუპა. ჯარი დაიბნა და გასაქცევად მოემზადა. ქართველებმა ისარგებლეს ამ მომენტით. შეუტიეს მედგრად და ხელჩართულ ბრძოლაში ხმლით სჩეხავენ მტრის კავალერიის დიდ ნაწილს. ვინც სიკვდილს გადეურჩა: „ასპინძის ხიდს მიმართეს და ქართველები სდევნიდენ ფიცხლად“. ერეკლეს ეს ადრევე ჰქონდა გათვალისწინებული: როგორც ვიცით ხიდის ბოძები გადახერხილი იყო. ამიტომ „მრავალნი წყალში შთაცვივდნენ და მოიშთნენ, ვინაიდან მტკვარი მოდიდებული იყო.“ ამრიგად, მტრის ჯარის ერთი ნაწილი ბრძოლაში განადგურდა. მეორე ნაწილი, ხიდს რომ მიაშურა, წყალში იღუპება. მესამე ნაწილს, ხიდის ჩანგრევის გამო უკან დასახევი გზა მოეჭრა, და რასაკვირველია ისიც განწირული იყო. ამათ დაერივნენ ბრძოლის ასეთი მსვლელობით წაქეზებული ქართველები და სულ ერთიანად ამოხოცეს. გადარჩა მხოლოდ მტკვარს გაღმა მყოფი და ამიტომ ბრძოლის გარეშე დარჩენილი მტრის ნაწილი. ამათ თავს უშველეს გაქცევით.

20 აპრილს ასპინძის ველზე მომხდარი ბრძოლა მტრის ჯარისათვის ნამდვილ ჯოჯოხეთად გადაიქცა: იქ დაეცა რამდენიმე ათასი მეომარი და მრავალი განთქმული ოსმალო სარდალი. ომის ბედიც ამ ბრძოლით გადაწყდა. ერეკლეს შეეძლო დაუბრკოლებლად წინსვლა და ახალციხის გარნიზონი, თურქული დიდი ძალების განადგურების შთაბეჭდილებით, ალბათ უბრძოლველად ჩაბარდებოდა. მაგრამ გამარჯვებული ერეკლე წინსვლაზე უარს ამბობს და ახალციხეს, რომელსაც ასე დიდ მნიშვნელობას აწერდა და რომლისთვისაც ეს ომი დაიწყო, ისევ მტერს უტოვებს და გამარჯვებულ ჯარს, რომელიც ახალციხიდან ერთი დღის სავალზე იდგა და წინსვლის ბრძანებას მოელოდა, მეფე უკან, თბილისისაკენ აბრუნებს. როგორ მოხდა რომ ერეკლემ თავის მიზნის განხორციელებაზე უარი სთქვა სწორედ მაშინ, როცა ეს ადვილად შეეძლო? ამის მიზეზი ისევ რუსული პოლიტიკა და მისი აღმასრულებელი ტოტლებენი იყო. ბრძოლის გათავების შემდეგ მეფეს მოახსენეს უცნაური ცნობები და ამ ცნობებმა აიძულა ის უკან დაბრუნებულიყო. ბრძოლის ველიდან გამოქცეული ტოტლებენი იმდენად დარწმუნებული იყო ქართველების დამარცხებაში, რომ თავის განზრახვათა დაფარვა უკვე საჭიროდ აღარ მიაჩნდა. „კავკასიის ლინიაზე“ თავის უფროსებისადმი გაგზავნილ საიდუმლო წერილში ის სწერს: „ტეპერ ნეპრემენნო პოლოჟილი, ჩტობ დოჟდავ ტომსკი პოლკ ს ცარია ირაკლია ორდენ ოტობრატ ი ეგო სამოვო ვროსიუ ოტპრავიტ“. (იხ. ტოტლებენის წერილი კავ. შტაბის უფროს პორფილევთან. გენ. პოტტო ოჩერკი კავ. ვოინ, ტ. I, გვ.103)

ეს ამონაწერი სავსებით ადასტურებს ზემოდ გამოთქმულ მოსაზრებას, რომ ტოტლებენი მოქმედებდა თავის მთავრობის ინსტრუქციებით და არა საკუთარი ინიციატივით. აწყურიდან უკან გაქცეული, სურამში მისვლისთანავე იწყებს ხალხის ძალით თავმოყრას და რუსეთის მეფის ერთგულებაზე დაფიცებას. ქართველები მას განადგურებულად მიაჩნია, და თუ პირადად ერეკლე გადარჩებოდა, მას დაპატიმრებას და რუსეთში გადაგზავნას უპირებს, რომ ქვეყანა რუსეთს შეუერთოს. რუსის ისტორიკოსები: გენ. პოტტო, გენ. დუბროვინი, ბუტკოვი, კოვალევსკი და სხვები ამას არ უარყოფენ, მხოლოდ ცდილობენ ამ ვერაგობის პასუხისმგებლობა დააბრალონ პირადათ ტოტლებენს. მაგრამ თვით რუსული მასალების ობიექტიური მკითხველი ამ აზრს ვერ გაიზიარებს. ტოტლებენის მუხანათური გეგმის ავტორები პეტერბურგში იყვნენ. მაგრამ ჯერ დაუბრუნდეთ ისევ ტოტლებენს. სურამში რუსის მეფის ერთგულებაზე ხალხის დაფიცებამ, რაც ნიშნავდა ქართველი მეფის უარყოფას, ერეკლეს დაუყონებლივ შეაცვლევინა განზრახვა და ის დაედევნა ტოტლებენს. მეფის გადარჩენისა და მოახლოების ცნობამ ტოტლებენი შეაშინა, მან სურამი დასტოვა და თავისი ჯარი აჩქარებული მარშით ანანურისაკენ გააქანა. რუსის ჯარი ორ დღეში ანანურში ავიდა და იქ ციხეში გამაგრდა. დროებით ეს ციხე კარგი თავსაფარი იყო. ერეკლეს ალყაც რომ შემოერტყა, რუსის ნაწილს კარგა ხანს შეეძლო თავდაცვა. პოტტოს თქმით ანანურში ტოტლებენი ისე იქცეოდა როგორც მტრის ქვეყანაში. მიითვისეს თოფის წამლის მთელი მარაგი, რაც აღემატებოდა 200 ფუთს, ე.ი. სამნახევარ ტონამდე, და წასვლის წინ დაამტვრიეს ყველა ზარბაზნები.

ერეკლემ მოკავშირედ მოსულ ჯართან ბრძოლა არ მოისურვა. ტოტლებენს ალყა არ შემოარტყა და მთელი ეს ამბები პეტერბურგის მთავრობას აცნობა. ეს იყო რუსული პოლიტიკის დიდი მარცხი. ტოტლებენმა იმედები ვერ გაამართლა და საიდუმლო გეგმა გამომჟღავნდა. რუსეთის მთავრობას ერთად ერთ გამოსავლად ისღა რჩებოდა ყველაფერი ტოტლებენისათვის დაებრალებინა. მთავრობის კომპრომეტაციას სჯობდა ერთი კაცის განწირვა. პეტერბურგი სწორედ ასეც მოიქცა.

ამრიგად, მოკავშირედ მოსული, დიდი ზეიმით მიღებული რუსული ჯარი საკუთარი მთავრობის მუხანატური გეგმების მსხვერპლი შეიქმნა და ქართველთა ნდობა აყრილი, ქართული სოფლებისა და ოჯახების აწიოკებით სახელგატეხილი, იმავე გზით დაბრუნდა რომლითაც მოვიდა. ასეთი იყო რუსული ჯარის პირველი, სანიმუშო ოპერაციები საქართველოში.

ამ ღალატმა საქართველოს საგარეო ურთიერთობაზე უარესი გავლენა მოახდინა ვიდრე საშინაო მდგომარეობაზე. რუსეთ-ოსმალეთის ომი დამთავრდა 1774 წ. 10 ივლისის ხელშეკრულებით, რომელსაც ეწოდება ქუჩუკ-კაინარჯის ხელშეკრულება. ჩვენ ზემოდ დავინახეთ, რომ რუსეთმა ფორმალურად იკისრა ხელშეკრულების დადების დროს საქართველო მოკავშირედ დაესახელებინა და როგორც ასეთი ოსმალეთის პრეტენზიებისაგან დაეცვა. ქართველები ომში ჩარევაზე მხოლოდ ამ პირობით დათანხმდენ. რუსეთის იმპერატრიცისა და საგარეო საქმეთა მინისტრი პანინის დაპირებები ამ მხრივ სრულიად კატეგორიული იყო. შეთანხმების პირობები ხელმოწერილი და მოწონებული იყო ორივე მხარის მიერ. მაშასადამე იურიდიულად და მორალურად რუსეთი ვალდებული იყო დანაპირები შეესრულებინა. მიუხედავად ამისა ქუჩუკ-კაინარჯის ტრაკტატის 23-ე მუხლით რუსეთმა თავის მოკავშირე იმერეთი ოსმალეთის ქვეშევრდომად აღიარა და პირობა დასდო, რომ ამიერიდან იმერეთის საქმეებში და სოლომონ I-ის პორტასთან ურთიერთობაში აღარ ჩაერეოდა. გარდა ამისა ქუთაისის, შორაპნისა და ბაღდათის ციხეები რუსეთმა ოსმალთა საკუთრებად გამოაცხადა. აღმ. საქართველო ამ ტრაკტატში ნახსენებიც არ არის (იხ. პროფ. ალ. ცაგარელი, „გრამოტები და სხვ.“ ტ.I გვ.413)

ამრიგად, რუსეთმა, დაცვის მაგივრად დას. საქართველო ოსმალეთს ჩააბარა და თან იმდენი უფლებები მიანიჭა, რამდენიც ამ დრომდე ოსმალეთს აროსოდეს ჰქონია. ამ შემთხვევაში ორი აზრის ქონა ძნელია. ცხადია, რომ რუსეთმა მოფიქრებულად საქართველო ომში ჩაითრია, შემდეგ დაალალატიანა და გასწირა. ქუჩუკ-კაინარჯის ტრაკტატი უდავო საბუთია რომ ტოტლებენი თავის მთავრობის ინსტრუქციებით მოქმედებდა. მართალია, ამ ხელშეკრულებით მინიჭებული უფლებებით ოსმალებმა სრულად ვაღარ ისარგებლეს, რადგან სოლომონმა ტრაკტატის ხელმოწერამდე დაანგრია შორაპნისა და ბაღდადის ციხეები და ამით საშუალება მოუსპო თურქთა თარეშებს იქ დაბინავებულიყვნენ, მაგრამ ეს რუსების სურვილის წინააღმდეგ მომხდარი ამბავია და თურქთაგან იმერეთის გაწმენდის საკითხს აღარ ვეხებით.

ასეთი იყო შედეგები რუსეთთან დაახლოების პირველი ცდისა და ამას უწოდებენ საბჭოთა მწერლები რუსეთის მიერ საქართველოს გადარჩენას. მეორე შემთხვევა იყო კრწანისის ცნობილი ბრძოლა.

ამაზე შემდეგ ნომერში.

**ალ. ცომაია**

---

## აგვისტოს აჯანყების გამო

ქართულმა ემიგრაციამ 1924 წლის აგვისტოს აჯანყების 31 წლის თავი გადაიხადა. მაგრამ მიუხედავად ამისა დღემდე არ გამოქვეყნებულა ამ საგანზე არც ერთი სერიოზული და დოკუმენტალური ნარკვევი. ჩვენ ვკმაყოფილდებოდით პათეტიური სიტყვებით და ცალკე ეპიზოდების აღწერით, მიუხედავად იმისა, რომ ემიგრაციაში თავმოყრილი იყო ამ აჯანყების მეთაურთა და მონაწილეთა საგულისხმო რაოდენობა. ამ მხრივ პირველობა ეკუთვნის ბ-ნ ვ. ჩუბინიძეს და რა ნაკლიც არ უნდა ჰქონდეს მის მოგონებებს,, თვით საკითხის ვრცლად გაშუქების ცდა, მას უსათუოდ დამსახურებად უნდა ჩაეთვალოს.

ჩვენ ამ მოგონებებს მომავალში შევეხებით და ვეცდებით ზოგიერთი ამბების აღწერაში შეპარული შეცდომები შევასწოროთ. ამასვე ურჩევთ აჯანყების ყოველ მონაწილეს და მეთაურს, რათა ისტორიას დარჩეს მართალი და სრული სურათი ამ გრანდიოზული ეროვნული ბრძოლისა.. ამ მოსაზრებით ჩვენ სიამოვნებით უთმობთ ადგილს აჯანყების ერთ-ერთი აქტიური მონაწილე ბ-ნ **დ. ახვლედიანის** წერილს.

**რედაქცია**

### წერილი რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორო, უმორჩილესად გთხოვთ მომცეთ შესაძლებლობა თქვენი გაზეთის საშუალებით მცირედი შესწორება შევიტანო ბ-ნ ვ. ჩუბინიძის „მოგონებების“ მეორე წიგნში.

1924 წ. აგვისტოს აჯანყების გამო ჭიათურაში დახვრეტილ სოციალ დემოკრატების სიაში მოთავსებულია ზოგიერთი ისეთი გვარები, რომლებიც არასოდეს არ ყოფილან სოც. დემოკრატები და არც ჭიათურის გამოსვლებში მიუღიათ მონაწილეობა. მაგალითად სიის 22 ნომერი: ქურციკიძე დავითი, პარტიულად ეროვნულ დემოკრატი და ჩემი ახლო მეგობარი იყო. აჯანყების წინა დღეს ერთად წამოვედით ჭიათურიდან. თანახმად ერ. დემ. არალეგალური კომიტეტის დადგენილებისა ჩვენ მონაწილეობა უნდა მიგვეღო ჩხარში. დ. ქურციკიძემ ზესტაფონში სახლში შეიარა, ცოლშვილს დაემშვიდობა, სამარიამობოდ მივდივარო. თან წამოიღო ცხრა ნომერი ბრაუნინგი კონდახით და გავაგრძელეთ გზა ჩემი სოფლისაკენ. ბრაუნინგი მან წელში ჩაიდო, ხოლო კონდახი მე შევახვიე ძველ ტანისამოსში და მე ვატარე. სოფელს რომ მიუახლოვდით ერთი ნაცნობი შემოგვხვდა ჭიათურას მიმავალი. ჩვენ მას აუხსენით მდგომარეობა და დასაჯერებლად ვაჩვენე კონდახი და უთხარი: აი, მე მაუზერი მაქვს მეთქი. ხოლო დავითმა აჩვენა თავისი ბრაუნინგი. ამის შემდეგ მან დაგვიჯერა და თან გამოგვყვა. მაშასადამე, დ. ქურციკიძე ჭიათურაში ვერ იქნებოდა.

სიის 56 ნომერი, კოკიაშვილი ჭუკია იყო 19 წლის მოსწავლე, სოფ. ჩუფოთიდან, ჩემი მეზობელი და აჯანყების პირველი წუთიდან უკანასკნელამდე ჩემს გვერდით იყო. ციმეკარიძე ლადო, სიით ნომერი 21 და ჯაფარიძე თენგიზი, სიის 55 ნომერი, იყვნენ სოფ. ოფჩიდან და ქუთაისში ერთ ხანს ერთ სახლში ვცხოვრობდით და იყვნენ ჩემი ახლო მეგობრები. ჩვენი კომიტეტის დავალებით მონაწილეობა მიიღეს ბაღდადის ბრძოლებში და დახვრიტეს ქუთაისში. უცნაურია, რომ ეს ოთხი ჩემი მეზობელი, მეგობარი და პარტიულად თანამოაზრე, აჯანყების დროს ორი ბაღდადში და ორიც ჩემს გვერდით მყოფს, ბ-ნი ჩუბინიძე თავის რაზმელებად, ჭიათურის გამოსვლების მონაწილედ და თავის პარტიულ კაცებად სთვლის.

ბ. ვ. ჩუბინიძე ეხება და აღწერს მთელ საქართველოს ამბებს, მაგრამ სრულებით არ შეეხო ჩხარის ამბებს, რომელიც ჭიათურიდან სულ რამდენიმე კილომეტრითაა დაშორებული და რომელზედაც თვით ბოლშევიკები სწერდენ, რომ ყველაზე ცხარე ბრძოლები იქ იყოვო.

ჩხარში სწორედ დანიშნულ საათზე და არა 24 საათით ადრე ან გვიან, ერ. დემ. ორგანიზაცია გადავიდა შეტევაზე, მენშევიკები შემოგვიერთდენ დაგვიანებით. იქნებ ამიტომ ბ. ჩუბინიძეს ეს ბრძოლა ხსენების ღირსად არ მიაჩნია?

ბ. ჩუბინიძე იგონებს შეიარაღებულ რაზმებს და ამბობს: „გრიგოლ აბაშიძემ განაცხადა, აწი მე ვარ სოც. დემოკრატი, რა მაქვს საერთო ერ. დემოკრატებთან? ერთი ოჯახი ვერ ენახვ რომ რაზმი მიიღოს და შეინახოს. სულ სოც. დემოკატებია როგორც შემნახველები ისე მომუშავეებიო“. (იხ. „მოგონებები“, გვ. 211) და ალბათ ეს ამბავი უფრო დამაჯერებელი რომ გახადოს, უმატებს თითქოს ალ. აბაშიძე და მ. საყვარელიძე მისულან მასთან სოფ. კაცხში პროტესტის გასაცხადებლად. ჩემს ხელთ არის ალ. აბაშიძის წერილი, რომელიც ჩემს შეკითხვაზე მიპასუხებს, რომ „ეს ამბავი ჩუბინიძეს მოგონებებიდან გავიგეო“. საზოგადოდ უნდა აღვნიშნო, რომ იმ დროს მთელი ეროვნულად და პატრიოტულად განწყობილი ქართველობა ფარავდა, ინახავდა და ხელს უწყობდა ბოლშევიკებისაგან დევნილ მამულიშვილებს და არავინ ეკითხებოდა თუ ვინ რომელ პარტიას ეკუთვნოდა ან თანაუგრძნობდა. ვინც გრიგოლ აბაშიძეს იცნობდა, მისთვის წარმოუდგენელია ეს სიწვრილმანე, რომ ნატეხი ჭადის მიხედვით პოლიტიკური რწმენა გამოეცვალა.

„მოგონებათა“ 217 გვერდზე მოთხრობილია ბუჭუჭი იშხნელის ამბავი და ეს სამშობლოსათვის უებრო მებრძოლი გამოყვანილია დაქირავებულ მკვლელად და ისიც კომუნისტ ბარბაქაძეს სასარგებლოდ. ხოლო მკვლელობის ჩასადენად „კარაბინი დავით ბატონიშვილს (ბაგრატიონს) მიუცია“ (!?)

ბ. იშხნელს ბავშობიდან ვიცნობდი და ნათესავადაც მერგებოდა. კეთილსინდისიერება მოითხოვს აღვნიშნო, რომ არც ბაგრატიონს მიუცია კარაბინი და არც ბარბაქაძეს დაუვალებია მკვლელობა. როგორც თვით ჩუბინიძე აღნიშნავს, იშხნელი ეწეოდა მეურნეობას და არჩენდა თავის ოჯახს, მაგრამ ვაღარ აიტანა კომუნისტური უხეშობა და თავწასულობა და თავისი ცოლის ნათესავის (და არა ცოლის-ძმის, როგორც ვ. ჩუბინიძეს ჰგონია) ჭუმბურიძესაგან ითხოვა თოფი და მოკლა ჩხარის აღმასკომის თავმჯდომარე რობაქიძე. ცხადია ამის შემდეგ მას აღარ დაედგომებოდა და გაიქცა ტყეში, ხოლო ჭუმბურიძე, ერთი იმიტომ, რომ მკვლელობა მოხდა მისი თოფით და იცოდა მასაც კეთილი არ მოელოდა და მეორე, რომ იშხნელი სულ მარტო არ გაეშვა, თითონაც გაჰყვა მას. ორივე ერთად იქმნენ მოკლული ბოლშევიკებთან ბრძოლაში.

მე აქ აღვნიშნე მხოლოდ ის ადგილები, რომლებიც დანამდვილებით ყალბათაა გაშუქებული. მოგონებები უნდა შეიცავდეს მართალი ფაქტების აღნუსხვას და არა გამოგონებებს. ასეთი შეცდომები ფასს უკარგავს სხვა ამბებსაც, რადგან ადამიანმა აღარ იცი რა არის მართალი და რა არა. საერთოდ ძველი ამბების მოგონების დროს დიდი სიფრთხილეა საჭირო, რომ სამშობლოსათვის დაღუპულ რომელიმე გმირის ხსოვნას დაუმსახურებელი არაფერი ვაკადროთ. ვისთვის და რა საჭიროა სამშობლოსათვის აღსრულებულთა სახელების ერთი პარტიიდან მეორეში გადაწერა. განა ისინი ყველა ქართველისათვის ერთნაირად საპატივცემლო არ არიან რა პარტიისაც არ უნდა ყოფილიყვნენ?

**დ. ახვლედიანი**

---

## ქართველი ბავშვის ჩივილი

რატომ ღმერთმა დალოცვილმა
უცხო კერას გამაჩინა?
უცხოეთში სულს ჩამბერა
უთვისტომოდ დმარჩინა?

მე არ ვიცი, შეიძლება
მომავალი დიდი იყოს,
რომ სამშობლოს სიყვარული
უფრო გრძნობიერი იყოს!

ვხედავ ბედის საწერელმა
დანაპირი შეასრულა,
უცხო ერთან სიყვარულით
მეგობრულად შემაკედლა.

გული გახსნა, საზრდო მომცა
და ჩურჩულით ყურს ჩამძახა:
შენი მშობლიური მიწა
უცხო ერმა გადათხარა!

**ჯოლიხეველი**

EDITORIAL BOARD: Dr. G. Gabliani, S. Kaishauri, G. Lolua.
EDITOR IN CHIEF: D. Sindikeli
12-29 — 120 St. College Point. L. I. New York.